

ხელის-მოწერა მიიღება: 10 კოპი

ტფილისში „დროშის“ რედაქციის კანტორაში, შვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлиси. ВЪ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“. რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

დროშა

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

ტფილისში და გარეშე ადგილობრივად: 6 მან.

საბჭოების წლისა — 7 მან.

საბჭოების წლისა — 4 — 3 — 50 კ.

სამის თვისა — 2 — 50 კ. — 2 —

საღვთის ნომრისა გაზეთზედ — 3 მან.

„დროშა“ გამოდის ყოველ კვირას, პარასკევებით.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროშაზედ“ ყოველთაგან მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირადად ან წერილობით.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროშას“ ხელის-მოწერას, რომელიც გაზეთის ფული ჯერ არ მოუტოვებ. შემოიღებულ ფული.

შინაარსი: განცხადება ქვეყნის ნამეტნიკის უმთავრეს სამმართველოში, შიდასახარებო, პორტუგალია, პოლიტიკა, შინაარსი, მხარეთმცოდნეობა, სალიტერატურო ნაწილი, ლექსები, სახელმწიფო ბანკის განცხადება.

განცხადება.

20 ივლისიდან მელიქიშვილის და კამპ. სტამბა და „დროშის“ რედაქცია იმყოფება ხანის ქუჩაზე, თავ. მიხეილ ბებუთოვის სახლში.

ქვეყნის ნამეტნიკის უმთავრეს სამმართველოში.

ქვეყნის ნამეტნიკის უმთავრეს სამმართველოში მოიხდის პრუცტის შედგენა მთლიანად მტკვარზედ რკინის ხიდის გაკეთების, ტამოქნის გვერდით მნაცკანოვის ხიდის მაგივრად. პრუცტის შემდგენელმა სახეში უნდა მიიღოს შემდგომი პირობები:

1. ხიდი უნდა გაკეთდეს იმ ქვის ბურჯებზედ, რომლებზედაც ეხლანდელი ხიდის თაღები აწყობილია. მაგრამ ეს ბურჯები არ შეიძლება დაკიდებული რკინის ხიდს.

2. ბურჯებს შუა დარჩომილის ადგილის ზომა არის 22 საფ. და 2 1/4 ფუტი.

3. იმ ბურჯებს, რომლებიც ეხლა არიან, იმდენი სიმაგრე აქვს, რომ იმაზედ საპლანიანა ურემბა იარონ.

4. ხიდი, რომელზედაც პრუცტის შედგენას ეამბობთ, უნდა ჰქონდეს სამყოფი განი, რომ ურემბანა და ქვეითებმა იარონ — სახელდობრ 25 ფუტი ტროტუარებით.

5. თაღის ბოლოები ერთი მეორეზედ დაშორებული უნდა იყვნენ 22 1/4 საფ. თაღის სიმაღლე, მოხრილი რომ გაიზომოს, იმ ადგილიდან, საიდანაც ის დაიწყება, ხიდის ზურგი სადაც სწორდება იქამდინ, შეიძლება იყოს 23 ფუტიდან 19 ფუტამდინ.

6. პრუცტთან უნდა იყოს განმარტება და ანგარიში, ხიდის გაკეთება რა დაჯდება.

7. ოქტომბერი არის უკანასკნელი დრო პრუცტის წარმოდგენისა. პრუცტი, მიიღება ტფილისში ქვეყნის ნამეტნიკის საზოგადო საქმეების სამმართველოში.

8. პრუცტის გასაშინჯველათ და დასაფასებლათ მართებლობის განკარგულებით დაინიშნება საკუთარი კომისია, ხელოსანთაგან შედგენილი, და რომლის პრუცტის უკეთესი აღმოჩნდება, როგორც შესახებ ხელოსანობისა, ისრე ეკონომიისა, ის მიიღებს საჩუქრად 500 მან.

9. პრუცტს შემდგენის ხელი არ უნდა ეწეოს. ის უნდა აუკან აღნიშნული დევიზით. პონვერტიც, რომელშიაც პრუცტი იქნება, დევიზით გამოგზავნება. მხოლოდ კონვერტში ჩაიდება წიგნი, რომელშიაც პრუცტის შემდგენი გაცნობებს თავისს სახელს და გვარს, ეგვრევე ადგილს, სადაც ცხოვრობს.

უმაღლესი ბრძანება.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, რომ იმპერატორი მაქსიმელიანე 1-ის სიკვდილზედ უდიდებულეს სასახლეში ჩაიციან შავები ოთხ კვირას. ჩვეულებრივის წესით.

„დროშის“ კორესპონდენცია.

ჭუთაისიდან.


როგორც სწერდნენ გაზეთებში, ამ გაზეთულს რუსეთში და სხვა ქვეყნებშიაც ძლიერი დიდ-წყობა იყო; დიდი და პატარა მდინარეები გადიდნენ ნაპირებში და დიდი ზიანი მისცეს ადგილობრივ მცხოვრებთ. ამ მხრით ჩვენი რიონი სხვა ქვეყნების წყლებს უკან არ ჩამორჩა. საზოგადოდ ჩვენ შეჩვეულნი ვართ რიონის ხმირს გადიდებას: თითქმის ყოველ წლებით რამდენმეჯერ რიონი გადადის ხოლმე ნაპირებიდან და დიდს ზარალს შერება; მაგრამ ასეთი იმისი გადიდება და გადავლა, რომელიც ჩვენ ენახეთ გასული თვის (ივნისის) 23 და კიდევ სამი წლის წინათ, ჭუთაისში ბევრს არ ახსოვს, რომ წინეთ ყოფილიყოს, საშინელი სანახავი იყო ეს მდინარე იმ დღეს: პატარა და დიდორნი ხეები ძირიანათ ამოგლეჯილები, ტივები, ფიცრები, ცოცხალი და დამხრჩვლი პირუტყვები გაუწყვეტლად მიტურავდნენ ქვეითკენ თითქმის მთელი დღე. დიდი უბედურება ის იყო, რომ ეს წყალდიდობა მოხდა მრავლისათვის მეტის მეტად ცუდ დროს: ღომი და სიმინდი, რომელნიც შეადგენენ უმთავრეს ხალხის სარჩოს დასავლეთის საქართველოში, ესე იგი იმერეთში, ბურიაში და სამეგრელოში, ახალი ამოსული იყო მიწიდან, პური ბევრს ადგილს აუღებელი, და რადგანაც საუკეთესო ყანები, ჭუთაისიდან დაწყებული შოთამდის, სულ რიონის პირად არის და ეს ნაპირები დაბლობია, შეგვიძლიან წარმოიდგინოთ, რა დიდი ზარალი მოიტანა რიონმა. ორპირის ახლო ადგილების მნახელები ამბობდნენ, რომ იქ ყანების კვალიც არ ჩანს; ახალი ამოსული სიმინდი და ღომი დაუფარავს ღრმა ქვიშის ტალახს, რომელიც დიდ ხანს არ გაშრება. საწყალი სოფლები, დიდად დამწუხრებულნი შეპყრებენ თავიანთ ფუტკარ გავლილ ნაპირანსულებს და არ იციან რა ჰქნანო: სიმინდის ხელმეორეთ დათესვა გვიან არის, ღომისა კი შეიძლება, მაგრამ ტალახი უშლის. მართებ დიდი უბედურება იყო მცხოვრებლებისთვის რიონის გადავლა. მით ჭუთაისში დიდი ზიანი არა უქნია რა რიონს; საკმაოდ აზარალა მხოლოდ ფერმა, (სახელმწიფო ბაღი) რომელსაც ადრე იქნება, თუ გვიან რიონი სრულებითაც ფეხს აუღავს; მაგრამ ამით დიდი არა დააკლებარა ჭუთაისს; ამისთვის, რომ სასიერო ადგილები უიმისოთაც ბევრი აქვს ქუთაისელებს: მთელი ჭუთაისი ბაღებში ღვას; ჭუთაისს აქვს ბუღარი. ამ მხრით ფერმას სრულებით არა აქვს იმისთვის ისეთი მნიშვნელობა, როგორც აქვს, მაგალითებრ ალექსანდროვის ბაღს და მუშტაიდს ტფილისისათვის. ტფილისში, რომ ეს საზოგადო სასიერო ბაღები არ იყოს დიდათ საგრძობელი და შემაწუხებელი იქნება მცხოვრებლებისთვის იქაური ხმელი, მტერიანი ჰავა. უფრო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჭუთაისის ფერმას იმ მხრით, რომ

ის არის გაკეთებული გასაერცლებლად ამ მხარეში რიგანი ბაღის კეთებისა, ევენახის და სხვა სასარგებლო მცენარეების კეთებისა და მოვლისა; მაგრამ აი რამდენი ხანია არსებობს ფერმა, და იმისგან არაფერს არა უსწავლიარა. მეზღვეების სასწავლებელს, რომელიც ვითომც არსებობს ფერმაში, შეადგენენ ათი თორმეტი ოდენ ყმაწვილები, რომელნიც სწავლობენ ქართულად და რუსულად წერას და კითხვას, და მებაღეა კი. ეგონებთ, მათ ეცოდინებათ თაყიდროზე არა უკეთესად სოფლის მეზღვეებზე. იმათზე უკეთესად ეცოდინებათ მხოლოდ კეთება ყევილებისა და თაიგულებისა, რომელნიც ასე საჭირონი არიან მანდილოსნების ყნოსვის დასატკობლად. მართლა და ყევილები და თაიგულები (ბუეკები) ბევრი კეთდება ფერმაში. მაგრამ ანდაზათ ნათქვამია: თამაშობა სანთლად არა ღირსო. შერმა მისი ყევილებით და თაიგულებით არა ღირს იმ ხარჯათ, რაც იმაზე გადის...

თუ ბოლო დროს უწინდელ დროზე უფრო გაზვიარდა და გაძვირდა რიონის უცებ გადიდება და გადავლა, ალბათ უნდა იყოს რამე განსაკუთრებით ამის მიზეზი, რომელიც წინ არ ყოფილა. ორი მიზეზისაგან მოხდება წყლის გადიდება: თოვლის დადნობისაგან და წვიმებისაგან. თოვლისგან გადიდებული წყალი არ არის ეგრე რიგათ მანებელი ჩვენში, ამიტომ რომ თოვლის ლანქერი არის ხოლმე გაზაფხულს, იმ დროს, როცა სიმინდი და ღომი ჯერ ნაკლებათ არის დათესილი, ან არა და ამოსული არ არის. უფრო მაზარალებელია წყალდიდობა წვიმებისაგან-მაისიდან დაწყებული ნოემბრამდის. ახლანდელი რიონის გადავლა და სამი წლის წინათაც, სეტემბერში, მოხდა წვიმებისაგან. მაგრამ წვიმები, ძველად, როდესაც ჩვენი ქვეყანა უფრო ტყიანი და ქობიანი იყო, უფრო ეცოდინებოდა, მინამ ახლა; ისეა რიონი ახლა უფრო ხშირად და ძლიერად დიდდება და რდენის არე მარეს, მინამ წინათ. რით უნდა აიხსნას ეს? ამბობენ, რომ ამის მიზეზი არისო გაოხრება და მოსპობა ტყეებისა იმ მთა-გორებში, რომლებს შუა მომდინარეობს ზემო ნაწილი რიონის და საიდანაც ერთიან მას სხვა და სხვა წყლები. მართლაც და თუ წარმოვიდგინოთ ერთი მხრით იმას, რა ვაღენა აქვს ყოველ მხარეში ტყიან მთებს წვიმის და წყლების სიმრავლეზე, მეორე მხრით შევხედავთ იმას, რა ნაირათ გაოხრეს და აოხრებენ ტყეებს ჩვენ ქვეყანაში, ადვილად მივხვდებით, რომ ზემო ნათქვამი მიზეზი რიონის უებრი და უცები წყალდიდობისა საფუძელიანია. ტყეს აქვს ბევრი სინოტიე: ამასთანავე ტყიანი მთები იქვრენ ღრუბლებს და ამ სახით, აძლენ ქვეყანას წვიმას; ტყე იჭერს მთაზე ნიაღვარს და უშლის ერთბაშათ წყლების მოვარდნას და გადავლას დაბლობ ადგილებში. შეკავებული ტყისაგან წვიმის წყალი ჩადის და გროვდება მიწაში, საიდანაც გარების ხეობებში და გვერდობებში გამოჩნდება წყაროებად და რუებად. ამის გამო იმ ქვეყნებში, სადაც მთა-გორები შემოსილნი არიან ტყეებით, ბევრი წყაროები და მდინარეებია; იქ საკმაოდ მოდის წვიმა, გვალვა იშვიათია და დიდ ხანს არ გასწევს. რასაკვირველია ამასთანავე ბევრი და მოკიდებულია იმაზე, ახლოა თუ შორს ზღვა

ამ ქვეყანაზე და საიდან უმეტეს ნაწილად ჰქრის ქარი. სრულიად ამის წინააღმდეგ ვხედავთ იმ მხარეებში, სადაც მთები გატიტვებულია, უტყეოა. იქ ხშირია გვალვა; წყლები ნაკლებათ არის და რომელნიც არიან, ის თვისება სჭირს, რომ უცებ, პატარა წვიმისაგან, მოვარდებიან, გადიდებიან და აოხრებენ არემარეს, რადგანაც წვიმის დროს არაფერი იჭერს მთებზედ ნიაღვარს, რომელიც ყოველ მხრით რეცხს გორას, თან მიაქვს ნაყოფიერი ზედაპირი მიწისა და თავისუფლად მიგრიალებს დაბლობში. ამისთვის მართლს ამბობენ ისინი, რომელნიც რიონის ჩქარს მოვარდნას და გადავლას მიუწერენ ტყეების აოხრებას; ამიტომ, რომ ეს მეტად ცხადი ფაქტია, რომ ტყეებს, როგორც რიონის არემარეებში, ეგრეთვე საზოგადოდ ყოველგან ჩვენში მეტად გააოხრეს და ახლაც უთავბოლოთ სჭირან და ბოლოს უღებენ. ეს ფაქტი ყოველს შემთხვევაში ღირს ამათ, რომ იმაზე ყურადღება მივაქციოთ.

წინათ, დიდი ხანი არ გასულა, რაც მთელი დასავლეთის საქართველო დაფარული იყო ტყეებითა, რომლებშიაც იშოვებოდა ყოველგვარი შენობის ხეები: მუნა, წაბლი, ძელქვა, ცაცხვი, მალალ ადგილებზე ფიჭვი და ნაძვი და სხ. ახლაც, როცა მალალი მთიდან დაწყებამ ქვეყანას, გგონია რომ ტყით არის შემოსილი. მართლა კი რას ვხედავთ? მთელს იმერეთში (შორი, შეუვალი ხეობების გარდა) ერთილა რიგანი ტყე — აჯამეთისა. ტყეები სხვებიც ბევრია, მაგრამ როგორი ტყეები? ისეთები, რომლებშიც ხეები ვარგან ან მხოლოდ შეშად, საფიცრო ხეები კი იშვიათად იშოვება. ჭუთაისში შენობისთვის საფარგისი, კარგი მუხის და წაბლის ხეები მოაქვს მხოლოდ აჯამეთიდან, ფიჭვს და ნაძვს კი ზიდავენ ზემო ჩაქვიდან, ხანის და ზეკარის ხეობიდან და წინეთ-ახალციხის მთებიდან. დიდი წაბლარის და მუხარის ადგილას, რომელიც თხუთმეტი-ოც წლის წინათ ჭუთაისიდან დაწყებული გასწევდა ხანისკენ და უწევდა ბუბის წყლამდის, ახლა ვხედავთ დამახინჯებულს ჯაგანარს, რომელშიაც რიგანი შეშაც არ იშოვება. სადლა ახლა ის დიდ ძალი ტყე, რომელიც ორპირიდან დაწყებული ორივე რიონის პირზე, მეტადრე ბურის მხრით, მიღოდა ზღვამდის? ოცი წლის წინათ მშვენიერი რამე იყო ეს ტყე: ახლა ის შესდგება უმეტეს ნაწილად მრუდე; უსწორ მასწორი კოპიტის (იფნის), თხმელის (მურყანი) და ცხმლის (რცხილა) ხეებისაგან, რომელნიც გამოსადეგი არიან მხოლოდ შეშად; წაბლის და მუხის დიდი და სწორე ხეები, გამოსადეგი შენობისათვის, ძვირად იშოვება ახლა იმაში. იფიქრებს კაცი, რომ ტყეების მოწყვეტას ერთი კარგი შედეგი მაინც ექნებოდაო, სინოტიე იკლებდა და ჰავა გაიწმინდებოდა და უფრო მრთელი შეიქნებოდაო. მაგრამ ესეც არ ეთქმის შესახებ ყველა ამისთანა ადგილებისა. მაგალითებრ, რიონის დაყოლებასზე, ბურიაშიც და სამეგრელოშიც, ისეთივე საძაგელი, ხაშმინი ჰავა არის, იგივე ხშირი ცივებ-ცხელება ზაფხულში, როგორც ძველადყოფილა; ამისთვის, რომ ტბები, ქაობები, ნოლები ისევე იყვნენ იმ გაუფუჭებულ ტყეებში, როგორც წინათ, ყოფილა; არაფერს არ უმეტადი-



ნია, რომ თხრილები გაეყვანა და ეს ხაზშია-
ნი წყლები გაეშრო. სხვა და სხვა მეროპის
ქვეყნებში ახლა დიდი ყურადღება მიქცეუ-
ლი ტყეებზე; არა თუ უთავბოლოდ არ აფუ-
ქებენ ტყეს, არამედ ცდილობენ, სადაც არ
არის ტყე, ახლად გააშენონ. ღრო არის, რომ
ჩვენშიც მიატკიონ ამაზე ყურადღება და მო-
სკონ უანგარიშო ტყის ოხრება, თორემ ცუ-
დი შედეგი მოჰყვება ამისთანა უანგარიშობას,
დიდი გასაჭირი მოელის ჩვენს ქვეყანას მომა-
ვალში. როგორც ესთქვი, იმერეთში დღესაც
გრძნობენ ტყის ნაკლებობას; ახლაც უჭირთ
შენობათათვის სავარგისი ხეების და ფიცრე-
ბის შოვნა, მაგრამ თუ ასეთი წინდაუხედავი
ტყის კაფვა არ შესწყდა, ახლოა ის დრო,
როდესაც შევა შამოგავაკლდება. შუთისში
ექვსი უკანასკნელი წლების განმავლობაში
იმერული საყენის შეშის ფასმა აიწია ოთხი მა-
ნეთიდან 11—12 მანეთამდე, — ეს ფაქტია. მს
ერთი ცული შედეგი, რომელიც მოსდევს
ტყის მოსპობას; მაგრამ ნუ დავიწყებთ მე-
ორე უტუდეს მხარეს. მე ზემოთ ვსთქვი, რა
მნიშვნელობა აქვს ტყიან მთებს წვიმის მო-
ყვანაზე, საზოგადოდ წყლის სიმრავლეზე და
მიწის ნაყოფიერებაზედაც. იმერეთში დღესაც
ბევრს ვხედავთ ჩვენ მთა გორებს, რომლებიც
ერთხელ დიდად ნაყოფიერნი ყოფილან, მაგ-
რამ, როდესაც გაუგებლობას და წინდაუხე-
დაობას მოუტყდა იმათზე ტყე, და წვიმის ნი-
აღვარს, თავის მხრით, მოუტყვია, მოუშო-
რებია და წაუღია ნიადაგისაგან, ნაყოფიერი
მიწა, ეს მაღალი ბორცვები და სერები დამ-
სგავსებია მართლის გატიტლებულს და უნა-
ყოფო გორებს. როდესაც შეეყურებთ ამ
მთებს, ცხადად ვხედავთ, რომ თუ ახლანდე-
ლი უთავბოლო კაფვა, წვა და დაგვა ტყე-
ებისა გორებზე არ მოიხსოვ, შორს არ არის
ის დრო, როდესაც ყველა ჩვენი ამწვანებუ-
ლი და ნაყოფიერი მაღალი ადგილები დამ-
სგავსებია იმ დამწვარ-დადაგულს უნაყოფო
გორებს. ნუ დავიწყებთ კი, რომ დიდ ძალი
ნაწილი სახნავ სათესავისა ჩვენში შესდგება
მთა გორებთან; როდესაც მთებზე ტყეები
მოიხსობა, ამას მოჰყვება წყლების დაკლების,
ზოგიერთის დაშრობაც, ამას მოჰყვება ხშირი
გვალვა, რომელიც დასავლეთის საქართვე-
ლოსთვის უფრო საგრძნობელი და მავნე-
ლი იქნება, მინამ, მაგალითებ, მართლისა-
თვის; ამისთვის, რომ იქ, მართლში, მორწყ-
ვა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენში, სადაც უმე-
ტეს ნაწილს სახნავ სათესის ისეთი მდებარე-
ობა აქვს, რომ ჩვეულებრივი, ადვილი საშვა-
ლებით მორწყვა მათი არ შეიძლება, და სა-
ნამდის ჩვენში ისწავლიან ხერხიანი და და-
ხელოვნებული საშვალებით მორწყვას, მანამ-
დის კარგი დრო გავა

შუთისი. 6 ივლისი.

პოლიტიკა.

შრანსი. 2 ივლისს ფრანკის სჯულის
დამდებს შეეყრილობაში იყო გაცხარებული
ბაასი ბიუდეტზე (სახელმწიფოს შესავალ —
გასავალის ფულზე). ბევრმა ორატორებმა
ძრიელ აძგეს მართებლობის ეხლანდელი და-
წყობილობა. შეყრილობაში ლაპარაკი პირვე-
ლათ უფ. ძალი დე სენ — პოლმა დაიწყო.
იმან განკიცხა ბიუდეტის კამისია. შემდგომ
პიკარმა ილაპარაკა. იმანაც მართებლობის ეხ-
ლანდელი დაწყობილობა აძგა. ის ამბობს:
საჭირო არის სახელმწიფოში ძირიდან ცელი-
ლება მოხდესო, მესიკის ექსპედიციამ შრან-
ციის ღირსება დაამდაბლაო, სახელმწიფომ არ
იციის მართებლობა რანაირის პოლიტიკის და-
ქერას აპრობსო შესახებ ბერმანისა, იმ დრო-
ს, როდესაც სჯულის დამდებს შეყრილობაში
გასაშინჯველათ შემოიტანეს პროექტი
ჯარის წყობილების შეცვლაზე, აღმოსწ-
დაო, რომ სახელმწიფო, რომელიც თხუთ-
შეტს წელიწადს მშვიდობიანობით დასტკებო-

და, უძალე და შეუძლებელი და არის.“ მს-
ლანდელი სახელმწიფოს მმართველობა — სთ-
ქვა პიკარმა — არის ისრეთი დაწყობილობა,
რომელიც ხალხს ავიწროებს და სჩაგრავს.“
შე. ლუ მირალის სიტყვაშიაც ესევე აზრი
გამოდირდა. ბოლოს ტრიბუნაზედ ავიდა უფ.
შიულ სიმონი, რომელსაც სურდა გაშინჯე-
ფრანკის მართებლობის შინაური პოლიტი-
კისა. შე. შიულ სიმონმა პირველად ასწერა
დასაჩუქრება იმ პირებისა, რომელნიც დააჯი-
ლდოვეს საქვეყნო გამოფენის დროს. „ამ
გამოჩენილმა ამბავმა — სთქვა იმან — ჩემი გუ-
ლი ძრიელ მიიზიდა, რადგანაც მე მუშა ხალ-
ხის მხარე მიჭირავს. მს დღესასწაული, რომ-
მელიც პროგრესის და შრომის სადიდებლათ
დაწესდა, შიძლები იწოდოს უდიდებულეს დღე-
სასწაულად, არამცთუ მარტო ჩვენის მხარეს-
თვის, არამედ ყოველ მხარესთვისაც. ამ დღე-
სასწაულში ითქვა სიტყვა: „თავისუფლება“. ამ
შემთხვევაში სჩანს აზრების არეულობა.
1789 წლის პრინციპებმა დაამყარეს კავშირი
დემოკრატიის და თავისუფლების შორის. მე
ძრიელ მიყვარს დემოკრატია და თავისუფლე-
ბაც და არ შემიძლიან წარმოვიდგინო დემო-
კრატია უ თავისუფლებოთ და თავისუფლება
უ დემოკრატოთ. მს პრინციპი გვაჩვენებს,
რომ ხალხს უფლება უნდა ჰქონდეს და იმის
გონების ძალს ღირსეული პატივი მიეცეს.
1848 წლის კონსტიტუციამ ეს პრინციპები
მიიღო და ეხლანდელმა მართებლობამაც და-
ამტკიცა, რომ ამას არ უარ ყოფს; ეხლანდე-
ლმა მართებლობამ გამართა კაცების სასწაე-
ლებლები, სახალხო საკითხები სახლები და გა-
მოსცა კანონი ქალების სასწაელებლებისა.“
ორატორი კმაყოფილდება იმას, რაც მართე-
ბლობამ მუშა ხალხის თავისუფლებისთვის გა-
არიგა, მაგრამ ის საქმის შეხედულობაში არ
ეთანხმება მართებლობას და ცდილობს ახს-
ნას ამის მიზეზი. ორატორი ამბობს, რომ
საზოგადო საშუალოების დაწესებულება ძრი-
ელ ცოტა ფული, მაშინ როდესაც ჯარის შე-
სანახავათ იხარჯება ძრიელ ბევრი. ის შენი-
შნავს, რომ სწავლის თავისუფლება არ არის,
რომ ვერაფერს შეუძლიან სასწავლებელი გახს-
ნას მინამ მართებლობის ნებას არ აიღებს. მს
არის შედეგი დემოკრატიისა, რომელსაც თა-
ვისუფლება არა აქვს. ორატორი პოულობს
ეგრევე, რომ ასოციაციების (ეპრობების
საზოგადოება) სჯული არ არის სრული.
„მართებლობისაგან ნების მიცემის“
შორის და ასოციაციის შედეგის „უფლე-
ბისა“ ისრეთი განსხვავება არის,
როგორც შორის დღისა და ღამისა. ზემო-
ხსენებულის სჯულის უკანასკნელი მუხლიდან,
შეიძლება ესთქვათ, ეს აზრი გამოდის: „ამ
სჯულს მინამდინა აქვს ძალი, ვინემ ამას ინე-
ბებდენ მერები და პრეფექტები.“ ძნელი მი-
სახვედრია, როგორ შეიძლება სახელმწიფოში
იყოს თავისუფალი ეპრობა, მაშინ როდესაც
ბექედის თავისუფლება არ არის. ამ წესებს
მხოლოდ მოაქვთ ის, რომ ღირსნი კაცი წუ-
ხდებიან და ფინანსები ცარიელდებიან. ის წეს-
დებულება, რომელიც ბექედს შეეხება უფ-
რო კიდევ მავნებელი და დამზარალბელია.
ამ წესდებულების ძალით შეიძლება წაერთოთ
უფლება კენქის ყრაში მონაწილეობისა, იმ
პირთა რომელნიც ხალხს სწურთენიან-ხალხში
სწავლას ავრცელებენ. ორატორი ლაპარაკს
ამით ამოლოცებს: „ჩვენ არ დავსცხრებით
მოგთხოვოთ თქვენ ჩვენთვის საჭირო თავის-
უფლება. ამის ვალდებულს გვხდის ჩვენ პა-
ტირილობა — მამულის სიყვარული. იმ თავის-
უფლებისაგან, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, თვი-
თონ ფრანკია დეალებული არის. შეველა
ფრანკის სიკეთე თავისუფლებისაგან წარმოს-
დგა. უ ამთავისუფლებოთ ის არას დროს არ
შეიქმნებოდა დიდებულ ხალხათ.“ ორატორი
იგონებს, რომ 1848 წელში ის ეწინააღმდე-
გებოდა იაკობინობას სწორეთ ისრე, როგორც
ესლა ცეზარობას — ხმამ. — თქვენ რას ეძახით

ცეზარობას? — შე. შიულ-სიმონი. დემოკრა-
ტიას უ თავისუფლებოთ. — შემდგომ ორატო-
რი ხატავს სურათს ხალხის განცხრომისა-
უზომოთ ფულის ფანტისას. იმის სიტყვით
ხალხი ბაძავს მართებლობას, რომელმაც უან-
გარიშო ფული დახარჯა. საომრათ მომზადე-
ბულს ჯარზედ იმდენივე ხარჯი მიდის, რამ-
დენიც ომის დროს. — სახელმწიფო მინისტრმა
რუმე დაიწყო სიტყვის თქმა შენიშვნით, რომ
„შე. პიკარმა მთელი მართებლობის გამამტყუ-
ენებელი აქტი შეადგინაო.“ შე. პიკარმა სთქ-
ვა, რომ 1852 წლიდან დაწესდა ისრეთი მმარ-
თებლობის წესი, რომელიც ხალხს სჩაგრავს
და მხარის წინ წამწვევებს ძალას სორგუნავსო.
როგორ! ნუ თუ ესრეთი იყო ნაყოფი მარ-
თებლობის თხუთმეტი წლისა შრომისა, რომ-
მელიც მუდამ ხალხის ბედნიერებისთვის ილა-
წვიდა! არა! არა! ბაბედით ვიტყვი, რომ ის-
ტორია გამამტყუნებს უფ. პიკარისაგან წარ-
მოთქმულს აზრსა. — შე. შიულ — ფაბრ. სკა-
დეთ ვიდრე ტაციტი მოგივიდოდეთ. — შე.
რუე ემოწმება მმართველობას იმაზედ, რომ
ის მუდამ ცდილობდა ხალხის თავისუფლების
გავრცელებას და თვითოველისაგან სიყვარუ-
ლის მოპოვებას. ის იგონებს, რომ 1852 წელ-
ში სახელმწიფოში წესი მართებლობამ აღა-
ყენა. რომელი მხარეს ხალხიც საქვეყნო გა-
მოფენის სანახავათ მოდის, ყველანი ჰკვირო-
ბენ შრანციის სიძრიელეს. სახელმწიფო არ
არის დაშინებული. ის თავის თავისა და ძა-
ლისა დიდი მოიმედდა. ჯარის მზადება და შე-
იარაღება იმის ნიშანია, რომ მშვიდობიანობა
ალარ შეირყევა და სახელმწიფო თავისს და-
დებულებას დაიცავს.

— 24 ივლისს (6 ივლისს). პა-
რიის აპელაციის სამსჯავროს გამა-
მტყუნებელმა პალატამ აი რა დაასკენა ბე-
რეზოვსკიზედ: „დასკენა სამართალში მიცე-
მისათვის ანტონ ბერეზოვსკისა, რომელიც
გამამტყუნეს იმაში, რომ განიზრახა მისი დი-
დებულების სრულიად რუსეთის იმპერატო-
რის მოკლა. ბერეზოვსკის თანამ-
დებობის ამსრულებელმა ბერეზოვსკიმ წარუდგინა
სამსჯავროს, რომელიც შეკრება სარჩევლად
პალატაში, მოხსენება ანტონ ბერეზოვსკის
გამამტყუნებაზედ. ბერეზოვსკი გატყდა, რომ
მართლა ხელმწიფის სიკვდილი ნდომებია და
ეს თვითონვე იმას წინათ მოუფიქრებია, იმ-
ან გამოაცხადა, რომ მე მინდოდაო იმპერა-
ტორი ალექსანდრესთვის მსროლა და მხო-
ლოდ ამისგამო ვსროლო დამზახა სიმპე-
რატორო ეკიპაჟს. იმან სთქვა, რომ არავის-
თან არ გამიმხელიაო ჩემი აზრი, მე მქონდაო
სახეში ჩემი სამშობლო, რომლის შეწუხების-
თვისაც მინდოდა მომეკლა ხელმწიფე. შო-
ველ კითხვაზედ ასე ამბობდა: არაოდეს გუ-
ლში არ გამოივლიაო იმპერატორი ნაპოლე-
ონის სიკვდილი; იმან გამოაცხადა: ბეჯითად
დარწმუნებული ვიყავიო, რომ ჩემი დამზახის
ტყვიები არას გზით ნაპოლეონს არ მოხვედ-
ბოდნო. 1863 წ., როცა პოლშა განუდგა
რუსეთს, ბერეზოვსკი იბრძოდა თავის სამშო-
ბლოს გასათავისუფლებად. ამას შემდეგ ის
ბალიციაში დიდხანს ელოდა ბრძანებას, რომ
ხელ-ახლა მიეღო მონაწილეობა თავის მამუ-
ლის განთავისუფლებაში, მაგრამ ცოტახანს
შემდეგ გაიქცა ბერმანიაში და იქიდან ბე-
ლგიაში. ნოემბრის პირველს რიცხვებში ის
პარიეს მივიდა. ის მუშაობდა მენიკათ ბუ-
ენის ჩამოსასხმელს ზავლაში და საათში ოც-
და ათი სანტიმი ეძლეოდა; პოლიციის პრე-
ფექტურიდან თვეში ოცდა თხუთმეტი ფრანკი
ეძლეოდა შესაწვევლად. იმას უნდოდა
ფრანკიული ენა ესწავლა და ამისგამო აკო-
ფრეს სასწავლებელში ათი თვე გაათია. 18
(30) აპრილიდან ბერეზოვსკი სრულებით
უსაქმოთ დადიოდა. 15 (27) მაისს ის წავიდა-
მუის რომელიც მდინარე შანენ მდებარებს;
თავის დეორნიეს უთხრა, რომ 20 მაისს (1

ენისს) ისევე უკან დაებრუნდებოდა. დანიშ-
ნულის დღეს იმპერატორი ალექსანდრე ქა-
რიეს მივიდა. ის ორ საათს სიტყვებდა მის
გზის სტანციაზე, რომ ენახა იმპერატორი გა-
მოსვლის დროს. სამშაბათს 23 მაისს (4 ივ-
ნისს), ის ცდილობდა იმის დანახვას დიდ ოპე-
რასთან, წარმოდგენის შემდეგ.

როდესაც ბერეზოვსკი დაწმუნდა, რომ
ხელწიფესთან ახლოს მისვლა შესაძლებელი-
აო, მაშინ პლანიც შეადგინა, თუ რა ნაირად
უნდა მოკლა. იმას უნდოდა თავისი განზრ-
ხვა 25 მაისს (6 ივლისს) აესრულებინა, იმ
დღეს, როცა იმპერატორ ალექსანდრეს ჯა-
რები უნდა დაეთავლიერებინა. 24 მაისს (5
ივლისს) იმან იყიდა თოფის მკეთებლისაგან სე-
ვასტაპოლის ქუჩაზედ ორ-ლულიანი დამზახა,
კასულეები და ტყვიები: იმან აქ დამზახა გამო-
არჩია: თოფის წამლისმეტი არა აკლდარა; ფუ-
ლიც მეტი არ ქონდა, რომ წამალი ეყიდნა;
ამის გამო დააგირაფა სეროთუკი სასესხებელს
დაწესებულებაში, რომ წამლისთვის ფული
აელო. 25 მაისს (6 ივლისს) დილით იმან გა-
ტენა თავისი დამზახა და რადგან ტყვიები პა-
ტარები მოუფიქრნენ დამზახას, იმან გააკეთა
ორი მოგზო ტყვია და რკინით ჩატენა დამ-
ზახაში. 9 საათზე სახლიდან გამოვიდა და
მერე აღარ დაბრუნებულა. ის დანაყრდა ღვი-
ნის მოვაჭრესთან მაკადეს ქუჩაში, იქიდან
რკინის გზის ბატინიოლის სტანციაზედ წავი-
და. ამ სტანციის მახლობლად ღვინის სავაჭ-
რო ლუქანი იდგა. იქ ბერეზოვსკიმ ერთი რუ-
მკა ორკა გადაჭრა და დასტოვა თავის პალ-
ტო, რომლის ჯიბეშიაც შემდეგ ნახეს წიგნი
ამ გვარი ზედ წარწერილებით: „პოლშაზედ
გამოძრება ძაშიმირი ძალოვსკისა“ მეოთხმო-
ცე გვერდი ამ წიგნისა პირჩაკეცილია, ამ გვე-
რზედ სხვათა შორის ეს სწერია: ძილენსკის
ფრცი და დანიშნულია შემდეგი სიტყვები:
„მე მოვალე ვარ ყოველი ღონისძიება, რაც
ჩემგან შესაძლებელია, მოვიხმარო; განდგო-
მილებას ხელი წაუფიქრო.“ როცა ჯარებს
ათვალისწინებდნენ, ბერეზოვსკი ვერ დაუხ-
ლოვდა ხელმწიფეს; ის წავიდა დაღვა ძასკა-
დის კლდეზედ. იქიდან თვალ-ყურს ადევნებდა
იმპერატორის ეკიპაჟი საით უნდა წასულიყო.
რადგან ხელმწიფეების კარტამ „ქალწულის“
გზაზე გადუხვია, ბერეზოვსკიმ გადასტრა კას-
კადის ქუჩა და შევარდა ტყეში. ის და საიმ-
პერატორო ეკიპაჟი ერთად მივიდნენ იმ ად-
გილზედ, სადაც ორივე ალღეა გადაჯვარე-
დინდებიან. ბერეზოვსკიმ ცოტათ ირიბად და-
მზახა გაისროლა, რადგან ეკიპაჟის მარცხნივ
იღვა. იმას რომ დაეჯერებოდეს, ამბობს,
რომ მე იმპერატორს ალექსანდრეს თავში
დაუემიზნეო.

მეხიპა. პარიის გავთა „Figaro“ სწერს
შემდგომს ამბავს მაქსიმელიანეს ძვერეტო-
ში საკვდილზედ. მს ამბავი იმას აქვს ამოღებუ-
ლი გავთა „Esperanga“-დან, რომელიც
ძვერეტოში იბეჭდება.

ზავთა „Figaro“ ამბობს: ჩვენ პირველათ
უნდა აესხნათ 34 დღეში საქმის შეგვიანება,
რომელიც საზოგადოების აზრს ძრიელ აღე-
ლებდა. პირველი კურიერი, რომელმაც მო-
იტანა იმპერატორი მაქსიმელიანეს დატყვევ-
ების ამბავი, სან — ლუის მხოლოდ 7 მაისს (19)
მოვიდა. 10 (22) მიიღეს აქ პრეზიდენტის
ბრძანება და იმპერატორს მაქსიმელიანეს გა-
მოუცხადეს, რომ ის სამხედრო სამსჯავროში
უნდა წარსდგეს. მაქსიმელიანემ ამაზედ უარი
სთქვა. ის თხოულობდა სასჯელს იმ სახე-
ლოვანთ პირთაგან, რომელთაც ის სახელმ-
წიფო ტახტზედ მოუწოდეს. საქმე დაგვა-
პრეზიდენტს იმპერატორის წიგნი გაუგზავნეს
სხვა და სხვა ნაპოენი ქალაქდებითურთ. პა-
სუხი მიიღეს მხოლოდ 18 (30). პრეზიდენტი
მაქსიმელიანეს უარს უთვლიდა იმ საფუძვლის
ძალით, რომ რესპუბლიკის თავმა სახელო-
ვანთ პირთ პალატას არ დაუძახა. მაგრამ პი-

რდებოდა სიკვდილიდან პატიობას, თუ ის დაიფიცებოდა, რომ მებრძოლი აღარასდროს ფეხს აღარ გასდგამდა და ხელს მოაწერდა მებრძოლის ხელმოწერის უარის თქმას. მაქსიმელიანემ დაუყოვნებლივ გამოაცხადა პირად ამ ორს პირობაზედ თანხმობა თუ იმის აფიცრებას და სალდათებსაც გაანთავისუფლებდნენ. თუმცა კიდევ დასთანხმდნენ მებრძოლებს პირველათ, მაგრამ ბოლომდე სხვა ნაირათ იმუშავა. 30 მაისს (11 ივნისს) სამხედრო სამსჯავროს ჰქონდა საიდუმლო ყრილობა გენერალი ძორონის თავს მჯდომლობით. სამნი დამნაშავენი მოიყვანეს სამსჯავროს წინ. მაქსიმელიანემ უარი სთქვა თავისს გამართლებელის ამორჩევაზედ. მირამონმა და მებრძოლ ერთად ამორჩივეს, ორივემ ერთი. შადაწყვეტილობა, რომელიც იმავე დღეს პრეზიდენტთან გაგზავნეს, დაბრუნდა მხოლოდ 6 (18) დღით. ამტკიცებდნენ, რომ პრეზიდენტს პატივობა უნდოდა, მაგრამ მებრძოლის ელჩი მაშინგტონში იმას არ დასთანხმდა და ეს განდა მიუზღი იმათი დასჯის ბრძანებისა. გენერალმა ძორონამ პასუხის მიღების უშუალოდ ეს ამბავი გამოუცხადა სამს პატიმარს. იმათ ეს სულაც არ გააკვირებიათ. მაქსიმელიანემ მხოლოდ ითხოვა, რომ ისინი ერთმანეთს არ დაშორდნენ უკანასკნელს საათამდე, რომელიც კიდევ აღუსრულეს. ისინი მიასხეს ნამონასტრალში, რომელიც ფრანკოებს საავთმყოფოთ ჰქონდათ გაკეთებული. იქ ძირის სახლში, რომელიც უფროსადგრო და მოსათავსებელი იყო, შეამწყვდიეს ისინი. იმათთან არავის შეეძლო შეხება, აბბატ. შიშერის მეტს, რომელიც მაქსიმელიანეს—კარის მღვდელი იყო. ღამემ გაიარა ჩუმს ლაპარაკში: აღსარებას ამბობდნენ. მირამონს ძირეულ აწუხებდა იარა თვალზედ, რომელსაც ცივის წყლით იგრილებდა. მებრძოლი მიეცა ღრმა ძილს. მაქსიმელიანემ ქალადი და მელანი მოითხოვა. ორი წიგნი დასწერა: ერთი ნემენსტრად ერც—გერცოლინა სოფლისთან, თავისს დედასთან და მეორე—ცოლთან; ჩააბარა ისინი ეპისკოპოსს და სთხოვა მიეწოდებინა, სადაც როგია. ოთხს სათაზედ მაქსიმელიანემ მესასს (წირვა) მოსმენა მოინდომა. მღვდელმა ლოცვები დაიწყო; მებრძოლი გააღვიძეს და სამივე მიიღეს წმინდა საიდუმლო. მირამონი იყო ფერ მიხდილი და დაღონებული. მებრძოლი აღტაცებაში იყო. ნუ დაევიწყებთ, რომ ის ინდოეთელია და ამისთვის იმას ბატონთან სიკვდილი დიდათ ესახლებდა, როგორც თვითონვე ამბობდა.

დაპქრა შეიღმა საათმა. მოსამაშუბის ხმა და კაბიტანი გონსალესი კაპელაში შემოვიდა თვალების ასახვევებით. მირამონმა მაშინვე აახვეინა თვალები, არცკი განძრეულა. მებრძოლი არ დამორჩილდა. ამ დროს ეპისკოპოსმა უთხრა გენერალს რამდენიმე სიტყვა, რომლის შემდგომაც ის ნებას დაჰყვა და აახვეინა თვალები. იმპერატორმა სრულებით უარი სთქვა, მე მაგას არა ვიქო. შამაგზავრეს დასასჯელად. როდესაც მიახლოვდნენ საავთმყოფოს ალაყაფის კარებს, მებრძოლი ხმა მალლა სთქვა: „ხელმოწევე, გვიჩვენეთ ამ უკანასკნელს დროსაც მაგალითი თქვენის კეთილშობილურ ვაჟაკობისა. ჩვენ მოვსდევთ თქვენის უდიდებულესობის კვალს! ამდროს გამოიარეს ფრანკისკანელებმა ბერებმა პირველთ ორთ მოჰქონდათ ჯვარი და ნაკურთხი წყალი, სხვები მოდიოდნენ სანთლებით. ინდოეთელებს მოჰქონდათ სამი კუბო, თითო ოთხთ ეჭრათ. კუბოებს მოაყოლებდნენ უკან სამს შავს ჯვარს სკამებით, რომლებზედაც უნდა ისინი თოფით დახვრტილიყვნენ. მაშინ ზონსალესმა ანიშნა მაქსიმელიანეს გასულიყო. იმპერატორი გაბედვით მიახლოვდა და თან ორივე გენერლებს დაუძახა: „Vamos a la libertad!“ თავისუფლებისკენ მივდივართ! მძიმეთ მძიმეთ სიარულით ისინი ახლოვდებოდნენ სასაფლაოს. წინ მიდიოდა იმპერატორი;

იმის მარჯვენე—აბბატ—შიშერი, მარცხენე—ეპისკოპოსი. შემდგომ მიდიოდა მირამონი, რომელიც ორს ფრანკისკანელს ეჭირა. შიშერის მებრძოლი პატარებს შუა, რომლებიც სანტა—პრუსიდგან იყვნენ. როდესაც გორის წვერზედ ავიდნენ, მაქსიმელიანემ თვალგამტკრებით შეხედა აღმომავალს მხეს; ამოილო საათი და მოსწივა მათუთლს—სადაც იყო დამალული იმპერატორის შარლოტას პატარა სურათი; მიიქრა ის პირზედ; შემდგომ აბბატ შიშერს მისცა ჯაჭვი და უთხრა: „შარდაც ეს სახსოვრად ჩემს სატრფოს ცოლს მეროპაში და თუ როდისმე შეიძლოს თქვენი ლაპარაკის მოსმენა, უთხარით რომ ჩემი თვალები დაიხუტებიან იმის სახესთან, რომელსაც მე წავიღებ თან ციურს სამყოფელოში.“ როდესაც იმპერატორმა შენიშნა თოფების ნძრევა, იფიქრა, რომ სასროლათ ემზადებინ, სასწრაფოთ მივიდა თავის ამხანაგებთან და მოეხვია. მირამონი ძალაძიხდილო დაეცა სკამზედ, სადაც დარჩა უნძრეველად; ფრანკისკანელებმა გულზედ ხელები დაუკრიფეს. მებრძოლი და ისრე ესალმებოდა იმპერატორს, ჩუმით რაღასაც ელაპარაკებოდა, რომელიც ვერაინ გაიგონა. იმან თვითონვე დაიკრიფა გულზედ ხელები და ფეხზე მდგომელამ დაუწყო სასჯელს ლოდინი. მისიკოპოზი მიახლოვდა მაქსიმელიანეს და უთხრა: „ხელმოწევე ჩემის კონსით მიეცით მთელს მებრძოლს შერიგების კონცა. აპატივეთ ყველა ამ უკანასკნელს წამში!“ იმპერატორმა რომელსაც ცხადთ ეტყობოდა ღრმად გულის ღელვა, აკონინა და ჩუმით იყო. შემდგომ უცებ წამოიძახა იმან ხმა მალღი: „უთხარით ლოპესს, რომ მე იმისთვის მიპატივებია ლალატობა. უთხარით მთელს მებრძოლს, რომ იმისთვის მიპატივებია იმისი დანაშაული.“ ხელი ჩამოართო აბბატ შიშერს, რომელსაც ხმა ჩაუწყდა. შიშერი ჩაუვარდა იმპერატორს ფეხებ ქვეშ და დაუკონა ხელები, და ცრმლებით დაუსველა. ბევრნი ტიროდნენ იქ მდგომელებთან: მერმე ნელა გამოაცალა მაქსიმელიანემ შიშერს თავისი ხელი, წააღვა წინ ერთი ნაბიჯი და სთქვა მალლა ხმით, მაგრამ მწარეს ღიმილით: „A la Dispasion c'e ustea.“ (თქვენის ქირის სანაცვლო ვიყო). ამ დროს ხელის ნიშანზედ თოფები გულში დაუჭირეს, იმან წაიჩურჩულა რაღაც სიტყვები ნემენსტრად და თოფების გრილში კომლა დაჰფარა მაყურებელნი. მირამონი მძიმედ დაეცა დედა მიწაზედ, როგორც მეს დაცემული. მებრძოლი იხვედ იდგა და ჰაერში ხელებს იქნედა. ტყვიამ, რომელიც მოარტყეს იმას კიდევ ყურში, მოსპო იმისი სიცოცხლე. იმპერატორი დაეცა ჯვარზედ, რომელზედაც იყო მიყუდებული. ის იმავე წამს ასწიეს და ჩასდევს კუბოში. მსრევე უყვეს იმ ორსაც. წაიღეს და მაშინვე დამარხეს სასაფლაოზედ.

გენერალმა კორონამ მოუწოდა ეპისკოპოსს და მოსთხოვა წიგნები. იმ წიგნს, რომელიც ერც—გერცოლინა სოფლისთან იყო, ხელი არ ახლეს. ის იყო მიწერილი სასიკვდალოთ გადადებულისაგან დედასთან, და იმაში საშიშარი არა იქნებოდა რა. მეორე წიგნი კი, რომელიც იმპერატორის შარლოტასთან იყო, გახსნეს, რადგანაც ამას პოლიტიკური საჭიროება მოითხოვდა, და რომ სეკრეტარს შესძლებოდა იმისი პირის გადმოღება.

აი იმ წიგნის ტექსტი. შრანციხულის დედანიღან გადმო თარგნული:

„ჩემო სატრფოე შარლოტა! თუ ღმერთი ინებებს შენს მოჩინას და როდისმე წაიკითხავ ამ სტრიკონებს, მაშინ შეიტყობ ჩემის ბედის ყველა სასტიკობას, რომელმაც ასე უწყალოდ დამსაჯა იმ დღიდან, როცა შენ მეროპაში წახვედი. შენ წაიღე თან ჩემი ბედნიერება და ჩემი სული, რატომ არ გაეფორნე შენი სიტყვა! ამდენმა ამბებმა, —ამდენმა

მოულოდნელმა უბედურებამ შემუსრეს კავშირი ჩემთა იმედთა და სიკვდილი ჩემთვის ეხლა ბედნიერად განთავისუფლებამ და არა ტანჯვა. მე მოვეკვები სახელოვანათ, როგორც სალდათი, როგორც მეფე ძლეული და არა გაუპატიურებული. თუ შენი ტანჯვა ძრეილია, თუ ღმერთი ჩქარა მოგიწოდებს შენც ჩემთან შესაერთებლად, მაშ მე ვმადლობ ღვთაებრივს მარჯვენას, რომელიც ჩვენ ასრე დაგვსჯის.

მშვიდობით. მშვიდობით!

შენი საწყალი მამა.

ტ ე ლ მ ბ რ ა მ მ ბ ი,

კონსტანტინეპოლი, 27 ივნისს (9 ივლისს). ხმა ბოლგარიში აღდგომისა ერთი ორათ ნამატებია. იქაური გუბერნატორი მიდატ—ფაშა ატუსაღებს უბრალო კაცებსაც, იმ მიზეზით, რომ განდგომილები გამოჩნდნენ. ამ გვარ მოქმედებით ის ხალხს უფრო გაჯერებას და ააღვლებს. დასაუფლეთის სახელმწიფოების აგენტები და ოსმალები ცდილობენ ბოლგარიში აღდგომა რუსეთს დააბრლონ.

ახალგაზდა ოსმალოს მომხრეებთან იჯერ ტუსალობიდან არ გაუთავისუფლებიათ. იმათზედ გამოძიება ისევ არის.

ბერლინი, 29 ივნისს (11 ივლისს) 16 პრუსიამ თავისი მინისტრი—რეზიდენტი დაიბარა მებრძოლს. ჩრდილოეთი გერმანიის საყოველთაო გაზეთის სიტყვით ეს ამბავი იმით მოხდა, რომ ეხლა შეუძლებელი და არის მებრძოლსთან კავშირის დაქტრა.

პარიში, 1 (13) ივლისს. ბუშინდელ სჯულის დამდებს კრებაში ბიუდჟეტზედ ბაასის დროს ოლივემ თავისაგან წარმოთქმულს სიტყვაში ითხოვდა ფრანკიაში რეფორმის მოხდენას და ბოლოს სთქვა: ჩვენ უნდა ამოვიჩიოთ ამ ორში ერთი: ან ომი, ან კონსტიტუციური მმართველობა. სასურველი იქმნებოდა, რომ იმპერატორმა, სიბრძნისაგან თვისისა, იჩიოს კონსტიტუციური მართველობა.

პარშაპა, 2 ივლისს. ხუთ შაბათს მდინარე მისლა ისე გადიდა, რომ თავისი არემარე დაიჭირა. ამან აზარალა უთვალავი შენობები და მოიტაცა დამზადებული შეშა და თივები.

სალიტარატურა ნაწილი.
მუშა ხალხის ქალის და ოჯახის მდგომარეობა მაროკოს წინა-სახელმწიფოებში.

IV.

ნამდელი საბუთები გვიჩვენებენ, რომ კონსტიტუციური ცოლ-ქორბა თან და თან კლებულობს. ამას ის მოჰყვება რასაკვირველია, რომ უკანონო შეიღები ბევრი იზადებინა. საქმე იქამდე მივიდა, რომ დიდ სამუშაო ქალაქებში: ხშირი აღარ არის მუშაკების შორის ცოლქორბა. იქ გამრავლებულია და მანეტ მრავლდება საროსკიო სახლები (Пур-лич. дома). ბერლინი 1861—1867 მდე ამ სახლებმა 15 იმატეს. ბორდოში 5 წელში 18 პრაცენტზე მეტად აიწია, ნეპოლში 25 პროცენტზედ მეტად. პარიში 1864 წელში გამოაშკარებული როსკიო ქალი იყო 6,846, და 1854 წელში კი მარტო 4,332. მენაშია 3,310-ი, ბერლინი 9,653-ი (1864) წელში. ლონდონში 1860 წელში როსკიო ქალის რიცხვი იყო 30, 801. რასაკვირველია, ყველა ამგვარი მთელ საზოგადოებას ცუდათ აჩნდება და შეჰყავს სისუსტეში თავის ახალგაზდა თაობა. ზემო მოყვანილი მაგალითები უეჭველია სისწყლის და ბედკრულის მდგომარეობის ანგარიშია. ამას—შემდეგში გავიხილავთ.

თავდაპირველათ ჩვენ შევხედვით, თუ რა ნაირათ ახალმა გარემოებამ გამოაცალა ხელსაქმე ქალს და მიანდო სულ სხვა გვარი მუშაკობა. შევლამ იცის შინაური მოქმედება ქალისა, მაგრამ კი ბევრმა არ იცის ქალის მუშაობა სხვა და სხვა ქარხანებში. მხლა შრანციხეში სხვა და სხვა ქარხანებში მუშაობენ ნახევარ მილონამდე ქალები. მეტი ნაწილი მათგანი მუშაობენ: აბრეშუმის, სელის ბამბის და მატყლის ხელობაში. შევლა ამ ხელობებს დიდი ყურადღებით მუშაობა უნდა და ძნელი სამუშაო რამ არის. სადაც დიდი ყურადღება უნდა და ძნელია, ქალისთვის არის მიხლობილი. აბრეშუმის ხელობაში იმათ შეხედვით გამოიარონ ცივი ჰაერიც და პაპანაქი სიცხეც. იმათ წვალეებზე აი რას გვეუბნება თვით ფრანკოეტი შულ—სიმონი: „იმაზე ძნელი წარმოსადგენი და სამუშაო რა არის, რაც სელის საქოვში გადახდება მუშა ქალებს: წყალი აგურის ფილაქანზე, მყარალი ჰაერი 25 გრადუსამდე, პაპანაქი სიცხე, მყარალი სუნი თვით სელისა, სუყველა ამეგობისაგან საძაგელი ჰაერი დვას ქარხანაში. მეტი ნაწილი მუშა ქალისა იხდიან ტანისამოსსა, დგანან გახდილი თითქმის გაშიშვლებულნი. ამ მოწამულ ჰაერში მაშინებს შუბ, ერთი მეორეზე მიტყუბებული, ყველანი ოფლში იწურვიან, ფეხ შიშველნი მუხლამდის წყალში, და როდესაც ცამეტი საათის მუშაობის შემდეგ გამოდიან ქარხანიდან, მაშინ ის ნაგლეჯი ფარაჯები, რომლითაც ისენი დახურულნი არიან, ძნელად თუ იპატივენ მათ სიცივისა და სინოტიოსაგან, რა უნდა ქმნან და რა დემართებთ თუ წვიმა და შორის გზა აქვთ გასაღვლი, მეტადრე სიბნელებში და ტალახში, ვინ მიეგებება იმათ სახლის კარებში? ზანა პოვებენ ისენი, იქ ოჯახში, სითბოს და საქმელს? შევლა ეს ძნელი წარმოსადგენია და გულის ამრევი.“ ამ გვარად, სადაც ძნელი სამუშაოა იქ ქალს შიამებენ საქმეს. მეორე კიდევ ქალები შედიან სტამბის მუშაობაში, მაგრამ ნაკლებ ქირას იღებენ ამ ხელობაში, ვიდრე კაცები. ამასთან კიდევ რა ანგარიში ხდება. ბასულის წლის დასაწყისში პარიში ასოების ამწყობ მუშა კაცებს შეედგინათ პირობა, მინამ არ ემუშავნათ, ვიდრე იქიდან ქალებს სულ არ გამოისტუმრებდნენ. ამ გვარივე მაგალითი ყოფილიყო პეტერბურგში რამდენიმე წლის უკან.

V.

მოაცილა თუ არა ახალმა გარემოებამ ქალი თავის ოჯახს და შეიყვანა თუ არა საზოგადო სამუშაო ადგილებში, მასთანვე შეეცალა ქალს ჯილდო თავისის შრომისა. წინეთ ქალი მუშაობდა თავისის ოჯახისთვის, საზოგადოებრივად ამითა, ეხლა კი მუშაობს სხვისათვის, და ამის მაგიერად იმას აძლევენ შრომის ნიშანს, რომლითაც იმან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილება: სვას, სჭამოს, ჩაიცოს და სხ. . . მაგრამ საქმე იმაშია, შეუძლიან თუ არა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება იმ ჯილდოთი, რასაც იმას ამ შევიწროებულ გარემოებაში აძლევენ. მნახოთ იმისი შემოსავალი და გასავალიც, და ამისმალითად ავიყვანოთ არა თუ სულ უკანასკნელ პირობაში ჩაეარდნილი მუშა, არა, იმ გვარი რომელიც საშუალოდ კარგ მდგომარეობაშია. შრანციხეში შულ სიმონი ამბობს, რომ შრანციხეში მქსოვარი ქალი იღებს დღეში ერთს ფრანკს და ორმოცდა ათს სანტომს, ესე იგი ექვს შაურ ნახევარს. ეს კიდევ დიდი იღბალია, —ბევრი სამუშაო ადგილია, სადაც ამის მესამედს იღებენ დღეში. მქსოველები აბრაშუმის ქარხანებში იღებენ დღეში ერთს ფრანკს და ათს სანტომს, მატყლის სამუშაოში ერთს ფრანკს და ოცდა ხუთს სან-

ტომს. აი რა ანგარიში გამოჰყავს ჭულ სი-
მონს, მათის ცხოვრებისათვის, რომელნიც
დღეში იღებენ 4 3/4 კაპიკს. ამითი შეიძლე-
ბა, მაგრამ ძალიან დიდის გაჭირვებით, ცხოვ-
რება, ასე რომა მუშას შეხედება რაღაც მუ-
რალი სარდაფი სადგომრათ, დაგლეჯილი კო-
ნკები ტანსაცმელად. ამასთან უნდა ავიღოთ
ანგარიში უქმი დღეები 65 მინც. უკვედამ რა-
საკვირველია კიდენ უფრო უმცირდება ლუკმა
პური. ამ გვარი ჯილდოთი ძნელია ცხოვრება,
მეტადრე სიძვირის დროს. ახლა იმ ქალებზე
ხომ რაღა ითქმის, რომელნიც დღიურ ქირას
იღებენ მხოლოდ 75, 50 და 35 სანტომს.
მსეც კი უნდა ესთქვათ რომ ამ გვარები ბე-
ვრნი არიან, ათი ათასზე მეტი. იმათ დარჩე-
ნით ეს გასავალი გზები: ან შიმშილით დაიხო-
ცონ თავი, ან იქურდონ და ან სხვა რამ სი-
სუსტეს მიეცნენ, საჭიროებას იქამდის მიჰყავს
საქმე. მართლათაც ამ გვარად აბოლოდენ
საქმეს. იქნება სტყუან: განა იმათ შემწეთ არ
გაუჩინდებთ ან ქრებოი, ან სხვა საშუალება
რამეო სულ ხომ ისე არ დარჩებიანო. მძრე-
ბი არა ვითარ შალავათს იმათ ცხოვრებას არ
მისცემენ; ქმარი თავის საზრდოსაც ძლიერ
შოულობს მუშაობით და წერილი ცოლში-
ლი ისე რჩებიან, ასე რომ ქმარიანი ქალი უფ-
რო დიდ გაჭირვებაშია. აი იმათ ოჯახობაზე
რას ამბობს ჭულ-სიმონი: „იმათი სადგომი
სარდაფი, სადაც შეგვიყვანთ დაძველებული და
ფიწრო, კბე ასე რომსახიფათოც არის ამ კი-
ბეზე სიარული. შიკანსკელ კბეზე კიდევ გა-
არჩევს კაცი რასმეს, და იქეთ კი სრულიად
სიბნელებში შედის კაცი, თვალმა დიდი ძალა
უნდა დაატანოს, რომ გარჩიოს რამე საგნე-
ბი. აქედნები გაწავებულია და გატალახიანე-
ბული, ჰაერი ხომ თავის დღეში არ გაიწმინ-
დება, ნიდაგი სიმყარაღა. ამ სარდაფში მი-
ყრილ-მოყრილი არიან საწყალი მდგმურები,
მიწილილან იქა, სადაც გადაქცეულან მუშა-
ობისა და შიმშილისაგან გადაქანცულნი, გა-
მოდიან ამ სარდაფიდან მარტოკა იმისთვის,
რომ გააგრძელონ წვალების მუშაობა.“ შეე-
ლოგან ამ გვარ ცხოვრებას ვხედავთ, ამბობს
ჭულ-სიმონი: ამ გვარსავე სიეწროეს, სიმი-
ყარაღეს და სისაწყლეს. „როდესაც მუშაობა გა-
ბმულია იღებენ კიდევაც კარგ ქირას, მეტი ნაწი-
ლი მაშინაც შევიწროვებაში არის: იმათ არა აქვთ
საქმელი და სასმელი პატარა ყმაწვილებისთვის!
მთუ კი ყმაწვილი ავთ ვახდა, მაშინ ხომა არა-
ფერი ილაჯი არა აქვთ წამლის სყიდვისა. მქი-
მები ამბობენ რომ ამ საწყლებისთვის პირვე-
ლი წამალი იქმნებოდა ნოყიერი საქმელი, მა-
გრამ ამას პატრონებს ვერ გაუცხადებენ. ამ
მდგომარეობაში არიან მაშინ, როდესაც მუ-
შაობა ხელთქვეშა აქვთ და მშვიდობიანობაა
და თუ კი რამ ხელ-შემწელი გარეგანი მი-
ზეზი ასტყდა, მაშინ ხომ წასულია იმათი
საქმე. მხლა შევხედოთ იმ მუშა ქალების ცხო-
ვრებას, რომელნიც ასრულებენ შინაურს მუ-
შაობას: ესენი არიან: მკერავეები, მრეცხავეები,
მეშლაპეები და სხ. ამ ჟამად მარტოკა პა-
რიჟში მკერავე მუშა ქალია 113,000 სულია.
საშუალო ჯილდო მკერავეებს დღეში ერთი
ფრანკი და 42 სანტიმი აქვთ, მაგრამ ეს ჯილ-
დოც კლებულობს მის გამო, რომ ამ ხელობაში
იმათ ეცილებიან: მონასტრები, სატუსალოები
და საკერავე მაშინა. იქამდინ შეეცილნენ
იმათ, რომ ჟილეტის შეკერვისათვის, მარტო-
ოცს სანტიმს აძლევენ, როდესაც რომ ჟი-
ლეტის კერვას მთელი დღე უნდება. პარიჟში
არიან ბევრი მკერავეები, რომელნიც დიდ ბე-
დნიერებათ მიანჩიანთ სამი სანტიმი (კაპიკზე
ნაკლებია) საათში. ამ გვარ მცირე ჯილდოსა-
თვის უნდა ამუშაოს ცამეტი საათი დღეში,
მუხლ-მოკეცილი, და ამ გვარი ცხოვრება
უჩინს იმას სხვა და სხვ. ავთმყოფობას, ასე
რომ ბევრნი მათგანნი ოცს, ოცდაათს წელს
მეტს ვეღარ ცოცხლობენ. ცხოვრება ამ მუ-

შა ქალებისა ამ გვარია, არა ვითარს სიუმი-
ჯობესში არ შედის და უფრო დიდი შევიწრო-
ებადღევა. მონასტრები, სატუსალოები და სხვა
ამ გვარი სახლები თავისუფალნი არიან იმ ხარ-
ჯისაგან, რაც თავზე აწევს თავისუფალს მუ-
შა ქალს. შემომოხსენებულ სახლებს იაფათ
უჯდებათ და იაფათაც ჰყიდიან, თუმცა დიდი
მოგება კი რჩებათ. მთუ შიმშილით არ უნ-
და რომ მოკედეს, თავისუფალმა მუშა ქალმაც
იაფათ უნდა აიღოს მუშაობა.

VI.

მხლა შევხედოთ მუშა ხალხის ქალის და
ოჯახის ყოფა-ცხოვრებას ანგლიაში. მნახოთ
იმ ქალების ცხოვრება, რომელნიც ქარხანე-
ბში მუშაობენ და ოჯახებშია, ენახოთ იმათი
ქირა და კაცისაც, შევხვით თვით ანგლიის
მუშა ხალხის ცხოვრებასაც. ჩვენ ენახეთ, რომ
ანგლიაში უფრო ნაკლები გასავალი აქვს მუშა
ქალის შრომას, ვიდრე შრანციაში; როგორც
შრანციაში, ისე ანგლიაშიც გარემოების ცე-
ლილებამ მოაშორა ქალი თავის სახლის კარს
და დაწყებინა მუშაობა ერთთ კაცთან სახლს
გარეთ ერთსა და იმავე ქარხანაში. მართი პი-
რი სწერს 1840 წელში: „მანჩესტერში ბამ-
ბის ქარხანებში კაცები აღარ არიან. მე ენა-
ხე ქარხანები, სადაც მუშაობენ 1,900-დამ
2,000-მდე მუშა ხელი და ესენი სუყველა ქა-
ლები იყვნენ და ყმაწვილები. ბარემოების
ცვლილებამ ადგილი კი უჩვენა ოჯახ გარეთ
ქარხანებში ქალსა, მაგრამ შინაურ შრომაში
კი ძალიან შევიწროვა ანგლიის მუშა ქალი
ვიდრე შრანციისა. „ქალის ხელთქვეშ დარჩა
მარტო ნემსით მუშაობა, ამბობს მწერალი
ლერონ-შომერი, მაგრამ ეს მუშაობა ისე
ცოტა შემოსავალს აძლევს, რომ ყმაწვილი
ქალები, რომელნიც ამ ხელობაში არიან
ძლიერ, ძლიერს თუ შეიმუშავენ კვირაში სამს
ან ოთხს შილინგს, ესე იგი ცამეტს ან ჩვიდ-
მეტს კაპიკს დღეში. ამასთან იმათ უნდა იმუ-
შაონ 16 და 18 საათი დღე და ღამ. პერან-
გის შეკერვისათვის ისინი იღებენ 30 სანტომს,
ესე იგი შვიდ კაპიკს. იმაზე ძნელი მდგომარე-
ობა არ შეიძლება, რომელშიც ისინი არი-
ან. მს ყმაწვილი ქალები უნდა ადგნენ ზაფ-
ხულ ზამთარ ოთხს ან ხუთს საათზე დილით,
რომ დასხდნენ სამუშაოთ, ანა და წვიდნენ
მუშაობის ასაღებათ ვაჭრებში. ისინი მუშა-
ობენ დაუყოვნებლივ დილიდან შუალამდის
ვიწრო ოთახში, სადაც შეიყრიან თავს ერ-
თათ ხუთი ექვსი, რომ შეიმოკლონ ხარ-
ჯი ცეცხლისა და სანთლისა. მთუ მო-
დის მაგაზინებში შევლენ, იქ ამუშავე-
ბენ დღე და ღამ, ძილისთვის იმას რჩება
ოთხი ან ხუთი საათი და შაბათობით სრუ-
ლიდაც არა სძინავთ. მს მუდამ ჯდობა უდ-
როის დროს მოუსწრაფებს იმათ, თუ კი ქლე-
ქობას გადარჩნენ.“ (ლერონ-ფოშერი). ბამო-
დის რომ ანგლიის მუშა ქალი უარეს მდგომარე-
ობაშია ვიდრე შრანციისა, სადაც შრან-
ციის მუშა ქალს ეძლევა 75 სანტომი, ანგ-
ლიისას მარტოკა 50 სანტომი. შრანციაში
ქალი შეიმუშავენს 3 მანეთს და 75 კაპიკს
კვირაში. დღეში ხდება 31 კაპიკი. ამასთან
ესეც უნდა ესთქვათ რომ დიდ ქალაქებში
ანგლიაში უფრო სიძვირეა, ვიდრე შრანცი-
აში. ავიღოთ სახლის ქირა. პარიჟში, ლიონ-
ში, რემსში და სხ. მუშები არა ოდეს არ
იხდიან წელიწადში 18 ან 20 მანეთზე მეტს
სახლის ქირას, ანგლიაში ამ ფასათ ვერ იშო-
ვის. ბერნ დალ-ლარინში, რომელიც უსა-
სიწყლოესი კვარტალია ლონდონში, ტალა-
ხიანი ნოტიო ოთახი სარდაფებში უჯდებათ
წელიწადში 40 მანეთი და მეტიც. მხლა წარ-
მოადგინეთ მდგომარეობა მუშა ქალისა, რო-
მელიც იღებს ოთხს შილინგს კვირაში, აქე-
დან ორი შილინგი კი სახლის ქირათ უნდა
მისცეს: საკმელისათვის, სასმელისათვის, სანთ-

ლისათვის და ჩაცმისთვის რჩება მას 9 კაპი-
კი დღეში. მსეც თუ მუშაობა გაუწყვეტელი
აქვთ მთელ წელიწადს, მაგრამ ეს შეუძლე-
ბელია. ნამდვილის გამოანგარიშებით გამოჰ-
ყავთ რომ მუშას საშუალოდ შეხედება სამი
კვირა ავთმყოფობა წელიწადში. ამასთან უნ-
და დაუმატოთ დღესასწაული დღეები, და აქე-
დან ორმოცდა ორი კვირალა რჩება სამუშაო
წელიწადში. მარხანებში მეტს ქირას იღებენ
მუშა ქალები, მაგრამ მაინც ნაკლებ კაცზე.
მანჩესტერში ქალის ქირა არის ხუთი შილინ-
გი, კაცის კი 20-იც. მგრეთვე სხვაგან. რასა-
კვირველია, ქალის შეცილებადაც დაუკლო
ქირა კაცს და კიდევაც კლებულობს თან და
თან. ძნელად უჯდებათ ცხოვრება მუშებს.
სიცოცხლე მათი, რა ავიღოთ საშუალო რიც-
ხვი 15 და 20 წელზე მეტი არა გრძელდება, იქ-
ნება სულა 15 წლამდისაც მალე დაიწიოს.
ჯერ 1833 წელსვე მესანიკმა რაუბონიმ, რო-
მელიც დაიბადა მე თერამეტე საუკუნის ნა-
ხევარში, ესეთი ჩვენება მისცა ფაბრიკის კამი-
სიას: „მე მინახამს სამი თაობა მუშებისა. მე
ვიცი ეხლა კაცები ჩემის წლისა და უფრო
ყმაწვილებიც. იმათი ნიკი სულ მისუსტდა,
ისინი გახმენ, როგორც ხე, ისინი ყმაწვილე-
ბსა გენან. მე ვიცი რომდენიმე მუშები, რო-
მელნიც გახდილან ქარხანის მუშაობაში, ყმა-
წვილად ისენი ნიკიერები იყვნენ, ეხლა სულ
დაეხშეთ იმათ ნიკი, სულ მოუძღვრებულ-
ნი შეიქნენ, და ჩემზედ კი ყმაწვილები არიან,
ნიდაგი მუშაობა აუღლორებს მათ. მუშებს
არა აქვთ საშუალება, კუჭი გაიძლონ შიმში-
ლისაგან და ისენიც მიჰყოფენ ხელს მთერა-
ლობას და ათავებენ იმით რომ სულ მიეცე-
მიან ღვინოს და სხვა სისუსტეს. ამათი სიმრ-
თელე იშლება და ნიკიც იხშება. პირველ
სამუშაო ქალაქებში ანგლიაში საშუალო ქი-
რა კაცისა არის კვირაში 10 შილინგი, ქალ-
სა სამი-ოთხი, ყმაწვილისა 2 შილინგი. საშუ-
ალო ქირა იმ ოჯახისა, რომელიც შესდგება:
მამისა, ცოლისა და შვილებთაგან, ასე რომ
ერთი კიდევაც მუშაობდეს ქარხანაში, ამ გე-
რი ოჯახი შეიმუშავენს კვირაში 15 შილინგს,
ანუ ორი შილინგი დღეში და 66 თვეში. აქე-
დან კიდენ დღესასწაულები რომ გამოვირიც-
ხოთ და უქვიდობაც, რომელიც შესამთხ-
ვევია; მაშინ წლის შემოსავალი იქნება 144
მანეთი და 86 კაპიკი. შექვევლია ეს საკმაო
არ არის ცხოვრებისათვის. ზომიერის გამო-
ანგარიშებით ოჯახს ოთხის სულისაგან შე-
ეძლო ცხოვრება 262 მანეთით-მს 1833 წელ-
ში. ამასთან იმათ ექმნებოდათ მარტო რაც
აუცილებლად საჭიროა. მთენ სულ არაფერი
გაძვირებულყოფს მას აქეთ, მაინც არა ჰყო-
ფნის ოჯახს მონაგარი ენლანდელი, ასე რომ
ან ხუთს თვეს არაფერი უნდა სქამონ, ან არა
და შიმშილით იწყალონ თვალი. აი რას ამ-
ბობენ თითონ ის მუშები, რომელნიც მუშა-
ობენ დღე და ღამ თექვსმეტ საათს და იღე-
ბენ კვირაში შვიდ შილინგს: „ჩვენ მარტო
პურით და წყლით უნდა ვიჩინოთ ჩვენი თა-
ვი, თან კართოფლით და მარლით, წინან-
დელი მარგებელი საკმლის მაგიერად. რომ-
ლის მექანენიც ჩვენ წინეთ ვიყავით, ხშირათ
ჩვენ დღე და ღამ მუშაობის შემდეგ უნდა
დაესწევთ უფანშიათ და დაფიქროთ უქმელი
ყმაწვილები, რომ არ გამოგვესმას შიმშილი-
საგან იმათი ტირილი.“

(შემდეგი იქნება).

ჩადრი. (*)

მკვლევარი ზალადა, მორიც ლატჩანისა.
I.
ზღია და ელის სასირცხვო სიკვდილს
მენგრიის გრაფი ჯაჭვით შეკრული.
მას უნდოდა, რომ დაჩაგრულს მამულს
მიშველებოდა: მტრის ჯავრმა გული
მას გაუხურა; გრძობდა მონებას
ის მონებს შორის, — და დაიჭირეს,
როცა ებრძოდა მძლავრ ბოროტებას,
და ჩამოხრჩობა მას განუჩინეს.
(*) შენიშვნა: მთარგმნელი სწუხს, რომ ქართლ-
ის ნათარგმნის ძალა ძლიერ შობს უნდა იყოს ორი-
გინალის (ნამდვილის) ძალისაგან, მეტადრე იმითმა
რომ ლექსი გადმოღებულია რუსულის ნათარგმნისაგან
და რომ ქართულად გადმოიღო იმისთანა კაცმა რომე-
ლიც დაუფარავდა აცხადებს, რომ ერთ ნატამალ პოეტურ
ნიჭზედაც არა აქვს პრეტენზია.

რა შეუსრულდა ცხრამეტი წელი,
უნდა დასტოვოს მან ეს სრულყოფილი
არ ეშინიან იმას სიკვდილს: ~~სიკვდილი~~
ის წამალია გულის-ტყვილის!
მაგრამ აყრუოლებს, როს აგონდება,
რომ ხალხის თვალწინ ჩამოჰკიდებენ...
რომ სვავ ყვევების გროვა შეკრება
და მოძულეებულს სხეულს დაჰვლეჯენ.
მაგრამ ის მაინც ყმაწვილურს, ტკბილსა.
ბნელს კუთხეშია, მიეცა ძილსა.
დღეს გრაფი დედას ყვოს ეხვეოდა
და დალონებით ამას ეტყოდა:
„მშვიდობით, დედა! გეკარგის შეილი
მრთად-ერთი და ჯერეთ ყმაწვილი!
ჩემი სახელი განჰქრება ხვალე
და არ დასტოვებს ამ ქვეყნად კვალს!
დელილო, შეილი, გთხოვ, შეიბრალე!
შუშრად შევხვდი ბრძოლის გრიგალსა,
იქ კომლში, ცეცხლში, არ ვგრძობდი ჟრ-
ჯოლას;
მაგრამ სასირცხვო სიკვდილის ჟამსა
დამაწყებინებს ფოთლივით თრთოლას.“
დედა ნუ გეშინიან მას უპასუხებს:
„ნუ გეშინიან, არ აგაყრუოლებს!
დღეს სასახლეში წავალ სათხოვნად,
მოთქმით, ვაგებთ დედერი ცრემლს მწარეს,
ბუღსა დაფულობა ტახტზედ მჯდომარეს...
და დილას, როცა ჩამოსახრჩობლად
წაგიყვანებენ შენ მეიდანზედ,
იქ დამინახე მდგომს აივანზედ.
მთუ შეგი კაბით ვიქმნე მე, შეილო,
იცოდე, რომა ხარ სასიკვდილო...
რაეკირს! ბული გაქვს ვაჟკაცური
და გაბედითა სიკვდილს შეხვდები;
სახრჩობელასთან შენ არ შედრკები,
შენში სდულს სისხლი მამაპაპური!
და თუ ბალკონზედ ვიდგე ჩადრითა,
იცოდე, რომა ცრემლების დგრითა
ზადგარჩინე სიკვდილს სასირცხოს.
მაშინ, მტარვალმა რაც უნდა გიყოს,
არ შედრკე, შეილო, ყმაწვილივითა!“
და აი ეხლა გრაფს ტკბილად სძინავს
და დილამდისაც აგრე იძინებს...
ის სიზმარშია დედასა ჰხედავს,
რომ ჩადრმოსილი იმას დაჰყურებს...
II.
შეიქნა რეკა და ხალხი მიბრის...
მუხაზედ გრაფი ნელ-ნელა მიდის,
მას გარს არტყია გულქვა მცველები.
მოადგა ხალხი გაღებულს ფანჯრებს:
მინ იცის, რამდენს მოსდის ცრემლები
და ან რამდენის ქალის ხელები
მომხრებ აყრიან გრაფსა ყვევილებს!
ის ვერაფერს გრძობს და დარდიანი
მეიდნისაქნ წინ იხედება...
იქ დინახა მან აივანი,
და მაზედ დედა სდგას ჩადრისანი.
სიხარულითა გრაფი დღელდება!
სახრჩობელასკენ გულ მაგრად მიდის...
მტარვალის გვერდით უშიშრად დგება
და პირნათლათა ის სვეტთან ადის...
და თვით საკიდზედ—ანდა დამილი!
მაშ რათ ისხამდა დედა მისი ჩადრს!...
მე იყო წმინდა, უმანკო ტყვილი!...
მას ეშინოდა, რომ ვაჟი-შვილი
არ შეკრთომოდა ჩამოხრჩობის ჟამს!
12 ივნ. 1867 წ. თიბა პარგარეთელი.